ადრესატი:

კობა ლურსმანაშვილი
ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერია-მერი

წერილის ნომერი:**05-682222440**
თარიღი: **12/08/2022**

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის მიერ უფლებამოსილების განხორციელებისათვის გაწეული მუშაობის

ანგარიში

2021 წლის 12 აგვისტოდან 2022 წლის 09 აგვისტოს ჩათვლით

საფინანსო-საბიუჯეტო სამსახური არის ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეული, რომელიც უზრუნველყოფს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის პროექტის მომზადებას, მიღებული ბიუჯეტის შესრულებას, წლის განმავლობაში განხორციელებულ საბიუჯეტო ცვლილებებს, საბიუჯეტო სახსრების მიზნობრივ, მიზანშეწონილ ეფექტიან გამოყენებას და ბიუჯეტის შესრულების შესახებ ანგარიშგებას, ბუღალტრულ აღრიცხვას. აკონტროლებს ფინანსური რესურსების რაციონალურად და ეფექტურად მართვას.

საბიუჯეტო პროცესი გრძელდება ორი წლის განმავლობაში, იწყება საბიუჯეტო წლის დაწყებამდე 10 თვით ადრე (მიმდინარე წლის 1 მარტს) ბიუჯეტის პროექტის მომზადებით და მთავრდება საბიუჯეტო წლის მომდევნო წლის არაუგვიანეს მაისისა, ბიუჯეტის შესრულების შესახებ ანგარიშის დამტკიცებით.

სამსახური საქმიანობას წარმართავს და ხელმძღვანელობს „საქართველოს კონსტიტუცის“, საქართველოს ორგანული კანონის „ ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს , საქართველოს კანონის „ საჯარო სამსახურის შესახებ“, საბიუჯეტო კოდექსის, საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 25 აგვისტოს № 672 ბრძანების ,,საქართველოს საბიუჯეტო კლასიფიკაციის დამტკიცების შესახებ“, საქართველოს ფინანსთა მინისტრის № 424 ბრძანების ,,სახელმწიფო ხაზინის მომსახურებაზე მყოფი ორგანიზაციების მიერ გადახდების განხორციელების წესის შესახებ“, მერიის დებულების, სამსახურის დებულებისა და მუნიციპალიტეტის სხვა სამართლებრივი აქტების შესაბამისად. საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის თანამშრომლები მონაწილეობენ საქართველოს ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების ფინანსისტთა ასოციაცის (სათეფა) სწავლებაში. ასევე სისტემატიურად მონაწილეობენ საინვენტარიზაციო და სოციალური დაცვის კომისიებში.

საფინანსო- საბიუჯეტო სამსახური დაკომპლექტებულია რვა ძირითადი და ერთი შტატგარეშე თანამშრომლისაგან. პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი - სამსახურის უფროსი 1 ერთეული. მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი - განყოფილების უფროსი 2 ერთეული. პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი 1 ერთეული, მესამე კატეგორიის უმცროსი სპეციალისტი 4 ერთეული და ხელშეკრულებით მომუშავე ერთი სპეციალისტი. ფუნქციები გადანაწილებულია ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის დებულებით, პროფესიულ საჯარო მოხელეთა თანამდებობრივი ინსტრუქციისა და საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტისა და ხაზინის ელექტრონულ პროგრამაში ჩართულობის შესაბამისად.

საფინანსო-სახაზინო განყოფილება, სადაც ხდება ბიუჯეტის მომზადება, წარდგენა, განხილვა, დამტკიცება და ცვლილებების ასახვა და ჩაშლა კლასიფიკაციის შესაბამის მუხლებს შორის ბიუჯეტის მართვის ელექტრონულ

სისტემაში. მუშაობს სამი თანამშრომელი.

ბუღალტრული აღრიცხვის განყოფილება, სადაც ახორციელებენ მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ფარგლებში გადახდების განხორციელებას საბიუჯეტო კლასიფიკაციის შესაბამისად, შემოსულობების აღრიცხვას სახეების მიხედვით და ხდება საბიუჯეტო საქმიანობის ბუღალტრული აღრიცხვა. მუშაობს ხუთი თანამშრომელი.

1.საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის საფინანსო-სახაზინო განყოფილებას საანგარიშო პერიოდში 08 აგვისტოს მდგომარეობით საანგარიშო პერიოდში საქმისწარმოების ელექტრონული სისტემის edocument საშუალებით განსახილველად დაეწერა 769 წერილი, აქედან საბიუჯეტო ცვლილებების კუთხით მომზადებული იქნა 2021-2022 წლების საანაგარიშო პერიოდის ბიუჯეტის ცვლილებების რვა პროექტი (ორი 2021 წ-ს და ექვსი მიმდინარე წელს) რომელიც წარედგინა მუნიციპალიტეტის საკრებულოს - პრიორიტეტების პროგრამებსა და ქვე პროგრამების ასიგნებების გასაზრდელად. მხარჯავი დაწესებულებებიდან მიღებული მომართვების საფუძველზე მუნიციპალიტეტის მერის მიერ გამოცემული ბრძანებით განხორციელდა 66 ცვლილება, ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 5 თებერვლის N 4 დადგენილებით დამტკიცებული საბიუჯეტო კლასიფიკაციის მუხლებსა და კოდებს შორის გადანაწილების წესის მიხედვით, ასევე საერთო სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის გადასახდელებიდან გამოყოფილი სახსრების დაუყოვნებლივად ასახვის მიზნით. (26 - 2021 წლის; 40 მიმდ. წლის)

საანგარიშო პერიოდში გასულის წლის 12 აგვისტოდან დღემდე აღსრულდა ხარაგაულის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის სარეზერვო ფონდიდან თანხის გამოყოფის შესახებ მერის თორმეტი ბრძანება (ექვსი 2021 წლის და ექვსი 2022 წლის)

36 მომართვა არის მიღებული ა(ა)იპ-ების მიერ საკუთარი შემოსავლების ასახვას შესახებ, რომელიც დაუყოვნებლივ არის ასახული ბიუჯეტის მართვის ელექტრონულ სისტემაში.

საფინანსო-სახაზინო განყოფილების მიერ საანგარიშო პერიოდის ყოველი მომდევნო თვის 10 რიცხვამდე საქართველოს ფინანასთა სამინისტროსა დადგენილი ფორმით წარდგენილია ყოველთვიური ანგარიშები და ინფორმაციები ბიუჯეტის შესრულების შესახებ. ამასთან საანგარიშო პერიოდში მომზადდა და კანონმდებლობით დადგენილ ვადებში ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს გადაეგზავნა 2021 წლის ბიუჯეტის წლიური ანგარიში და ინფორმაცია ცხრა თვის ბიუჯეტის გეგმა-შესრულების შესახებ. ასევე 2022 წლის პირველი და მეორე კვარტლის ბიუჯეტის გეგმა-შესრულების შესახებ ინფორმაციები.

ფინანსთა სამინისტროს ანგარიშში (სადეპეშე) ასახულია ინფორმაცია მისაღები შემოსულობებისა და გასაწევი გადასახდელების წლიური გეგმების შესახებ. ასევე ასახულია ინფორმაცია სახელმწიფო ხაზინიდან მიღებული, საბიუჯეტო კლასიფიკაციით გათვალისწინებული, ბიუჯეტის შემოსულობების და საბიუჯეტო დაფინანსებაზე მყოფი თითოეული მუნიციპალური ორგანიზაციის მიერ გაწეული ხარჯების შესახებ მიმდინარე პერიოდისათვის ნაზარდი ჯამით. ასევე მოიცავს ინფორმაციას ნაშთის ცვლილებისა და მთლიანი სალდოს შესახებ.

მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის მიერ 2022 წლის 18 თებერვალს მომზადდა მუნიციპალიტეტის 2021 წლის წლიური ანგარიში, რომელიც განსახილველად გადაეცა მუნიციპალიტეტის საკრებულოს.

საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის შესაბამისად კანონმდებლობით დაცულ ვადებში შესრულდა ყველა სამუშაო 2022 წლის ბიუჯეტის პროექტის დაწესებულ ვადაში შედგენის უზრუნველსაყოფად. ხარაგაულის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის შედგენა-დაგეგმვის სამუშაოები დაწყებული იქნა 2021 წლის 1 მარტს

მუნიციპალიტეტის მერის მიერ გამოცემული ბრძანების საფუძველზე შიდა საბიუჯეტო კალენდრის მიხედვით საბიუჯეტო ცირკულარის შესაბამისად.

2021 წლის 12 აგვისტომდე საბიუჯეტო ცირკულარის მიხედვით მიმდინარეობდა პირველადი პრიორიტეტის დოკუმენტის მოსამზადებელი სამუშაოები, პარალელურად მუნიციპალიტეტის ისტორიაში პირველად აქტიურად ვმონაწილეობდით სამოქალაქო ბიუჯეტის დანერგვის პროცესში.

2021 წლის 17 ივლისს საქართველოს ფინანსთა სამინისტროდან მიღებული პარამეტრებისა და საშუალოვადიანი პროგნოზის მიღების შემდეგ გაწეული სამუშაოების შედეგად პირველ სექტემბერს მერის ბრძანებით დამტკიცდა ხარაგაულის მუნიციპალიტეტის 2022 -2025 წლების საშუალო ვადიანი სამოქმედო გეგმა, ხოლო 2021 წლის 5 ოქტომბერს საქართველოს ფინანსთა სამინისტროდან შემოსავლების პროგნოზების მიღების შემდეგ შემუშავდა ბიუჯეტის პროექტის გადამუშავებული ვარიანტი. ასევე მომზადდა 2022- 2025 წლების პრიორიტეტების დოკუმენტი და 2022 წლის ბიუჯეტის დადგენილების პროექტი, რომელიც 2021 წლის 15 ნოემბერს გაეგზავნა მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის ბიუჯეტის განმარტებით ბარათთან ერთად, ასევე პრიორიტეტების დოკუმენტი გადაეგზავნა საქართველოს ფინანსთა სამინისტროს.

საკრებულოს მიერ 2021 წლის 17 ნოემბერს გვეცნობა 2022 წლის ბიუჯეტის პროექტის განხილვის ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ, მოეწყო ბიუჯეტის საჯარო განხილვა და ბიუჯეტის პროექტი გამოქვეყნდა ადგილობრივ პრესაში.

2021 წლის 24 ნოემბერს მუნიციპალიტეტის საკრებულომ რეაგირებისათვის გადმოგვიგზავნა საჯარო განხილვების დროს 2022 წლის ბიუჯეტის პროექტთან დაკავშირებით შემოსული წინადადებები და საკრებულოს სხვადსხვა კომისიებისა და ფრაქციების შენიშვნები.

მუნიციპალიტეტის მერიამ ცირკულარის მიერ გათვალისწინებულ ვადებში დაიწყო მუშაობა დაბრუნებულ ბიუჯეტში გამოთქმული შენიშვნების გასათვალისწინებელი დაფინანსების წყაროების გამოსაძებნად და შესაძლებლობის ფარგლებში მოახდინა რეაგირება აღნიშნულ შენიშვნებზე. ამასთან შენიშვნების ნაწილი გათვალისწინებული იქნა განვლილი საბიუჯეტო პერიოდის განმავლობაში და გაიზარდა ინფრასტრუქტურის განვითარების, განათლების და სოციალური პროგრამების ბიუჯეტი.

2021 წლის 09 დეკემბერს მერიამ წარმოუდგინა საკრებულოს 2022 წლის ბიუჯეტის პროექტის შესწორებული ვარიანტი, კერძოდ საკუთარი სახსრების ნაშთის გამოყენებით გადასახდელების ნაწილში 1 478 000 ლარით გაზრდილი ბიუჯეტი, რომელიც დამტკიცდა 2021 წლის 16 დეკემბერს მუნიციპალიტეტის საკრებულოს N 24 დადგენილებით.

მუნიციპალიტეტის 2022 წლის დამტკიცებული ბიუჯეტი დადგენილ ვადაში შეტანილი იქნა სახელმწიფო ბიუჯეტის მართვის ელექტრონულ სისტემის ერთიან ბაზაში ebudget. Ge. მომზადდა 2022 წლის ბიუჯეტის შემოსულობების და გადასახდელების კვარტალური და თვიური განწერა თითოეული მხარჯავი დაწესებულების მიერ წარმოდგენილი ხარჯთაღრიცხვების მიხედვით.

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის თვითმმართველი ერთეულის 2022 წლის დამტკიცებული ბიუჯეტი შემოსულობების ნაწილში განისაზღვრებოდა 10 318 100 ლარი, საბიუჯეტო წლის განმავლობაში საქართველოს მთავრობის სხვადასხვა განკარგულებებით სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან მუნიციპალიტეტს დამატებით გამოეყო 10 724 731 ლარი, ხოლო საკუთარი შემოსავლები გაიზარდა

714 000 ლარით, აღნიშნული ცვლილებების გამო ხარაგაულის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის 2022 წლის წლიური შემოსულობები დღეის მდგომარეობით განისაზღვრება 21 756 831 ლარით.

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის თვითმმართველი ერთეულის 2022 წლის დამტკიცებული ბიუჯეტი გადასახდელების ნაწილში განისაზღვრებოდა 11 797 000 ლარით, გადასახდელების დამტკიცების დროს საკ. სახსრების ნაშთიდან გამოყენებული იყო 1 478 900 ლარი. წლის განმავლობაში განხორციელებული საბიუჯეტო ცვლილებების გათვალისწინებით დაზუსტებული ბიუჯეტი გადასახდელების ნაწილში შეადგენს 25 179 579 ლარს, გადასახდელების გეგმა გაზრდილია 13 382 579 ლარით, მ. შ. 2022 წელს სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი სახსრებიდან 10 724 731 ლარი, წინა წლების ნაშთებიდან 1 943 848 ლარი და მუნიციპალიტეტის საკუთარი შემოსავლების გაზრდიდან 714 000 ლარი.

საბიუჯეტო ცირკულარის ფარგლებში დაწყებულია მუშაობა 2023 -2026 წლების ბიუჯეტის პროექტზე. დადგენილ ვადაში გამოცემულია 1 მარტის ბრძანება. მომზადებულია 2023 -2026 წლების პირველადი პრიორიტეტის დოკუმენტი, რომელიც ატვირთულია მუნიციპალიტეტის ვებგვერდზე https://kharagaulinews.gov.ge. აქტიურად მიმდინარეობს საშუალო-ვადიანი დოკუმენტის მოსამზადებელი სამუშაოები.

საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2011 წლის 8 ივლისის #385 ბრძანების შესაბამისად მუნიციპალიტეტის ა(ა)იპ-ებსა და სხვადასხვა პროგრამების განმახორციელებელ სამსახურებს უკვე გადაეგზავნათ 2023-2026 წლებში ასიგნებების ზღვრული მოცულობები.

2. . ბუღალტრული აღრიცხვისა და დაგეგმარების განყოფილების მიერ 2021 წელს საქართველოს სახელმწიფო ხაზინის ელექტრონულ სისტემაში ატვირთულია: (მუნიციპალიტეტის სამუშაო პროცესის წარმართვისა და სხვადასხვა ინფრასტრუქტურული პროექტების შესრულების მიზნით)

1) 243 ხელშეკრულება

2) 548 სხვა ვალდებულება

3) 2167 პირველადი დოკუმენტი,

4) 667 ინვოისი,

5) 301 პაკეტი

6) 10 538 საგადახდო მოთხოვნა.

განყოფილების მიერ ხდებოდა ანგარიშსწორებისათვის შემოსული პირველადი დოკუმენტების სისწორის შემოწმება, საჭირო დოკუმენტების მოძიება (ზოგიერთ შემთხვევებში), დოკუმენტაციის სრულყოფა. ასევე, საბიუჯეტო კლასიფიკაციის მიხედვით შესაბამისი მუხლების დადგენა და ვალდებულებების რეგისტრაცია, ინვოისების დარიცხვა, საგადახდო მოთხოვნების განხორციელება, პაკეტების მომზადება.

მიმდინარე პერიოდში ვახდენდით: საბანკო საავანსო გარანტიების საფუძველზე სამუშაოს შემსულებელ კომპანიებზე წინასწარ ანგარიშსწორებას და ავანსების ვადების კონტროლს, წარმოდგენილი სამუშაოების მიხედვით საავანსო თანხების შემცირებას, საავანსო გარანტიის ვადის გასვლის შემთხვევებში წერილობით ვითხოვდით საავანსო თანხების დაბრუნებას შესაბამისი სადაზღვევო კომპანიებიდან.

ვახდენდით მუნიციპალიტეტის მერიისა და საკრებულოს თანამშრომელთა შრომის ანაზღაურების, მივლინების, საავადმყოფო ფურცლის, საკრებულოს დეპუტატების ხარჯის დარიცხვასა და გაცემას. ასევე, სოციალურად დაუცველ და მძიმე ეკონომიური პირობების მქონე მოქალაქეებზე მატერიალური დახმარების გაწევის მიზნით მუნიციპალიტეტის მერის ბრძანებების საფუძველზე ვახდენდით სამედიცინო მომსახურების, მედიკამენტებს და სხვადასხვა ტიპის ყოველთვიური და ერთჯერადი დახმარებების გადარიცხვებს.

ვახორციელებთ მუნიციპალიტეტის ფარგლებში არსებული ა(ა)იპ -ების მიერ საქ. სახელმწიფო ხაზინის ელექტრონული სისტემის საფინანსო უწყების პორტალზე გადმოგზავნილი: 730 ვალდებულებების , 232 პაკეტის და 10 643 საგადახდო მოთხოვნების (გაკონტროლებას (დამტკიცებული ასიგნების ფარგლებში) და სახელმწიფო ხაზინაში გაგზავნას. ამასთან ყოველთვიურად ვიღებდით ა(ა)იპ -ების ბიუჯეტის შესრულების ანგარიშს და ვუწევდით კონტროლს დამტკიცებული ასიგნებების ფარგლებში.

2021 წელს საქმისწარმოების ელექტრონული სისტემის საშუალებით ვიღებდით და ვასრულებდით მუნიციპალიტეტის მერისა და საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის ხელმძღვანელის დავალებებს. ასევე ვიღებდით და ვასრულებდით სიტყვიერ დავალებებს და ვამზადებდით სხვადასხვა საჯარო ინფორმაციებზე პასუხს.

ყოველთვიურად ვახდენდით მუნიციპალიტეტის შემოსულობებისა და გადასახდელების აღრიცხვას და ანგარიშის მომზადებას.

ყოველკვარტალურად სახელმწიფო აუდიტის სამსახურს ვაწვდიდით ინფორმაციას მერიისა და ა(ა)იპ-იების შემოსულობებისა და გადასახდელების შესრულების შესახებ, ასევე თანამშრომელთა რაოდენობისა და ადმინისტრაციული ხარჯების შესახებ.

ვახდენდით საქართველოს მთავრობის სხვადასხვა განკარგულებით გამოყოფილი თანხების ასახვას შესაბამისი პროექტების მიმდინარეობის ცხრილებში, თანხის მოთხოვნას ფინანსთა სამინისტროში ავანსებისა და ფაქტიურად შესრულებული სამუშაოების ასანზღაურებელად.

შემოსავლების სამსახურის ელექტრონულ სისტემაში დადგენილ ვადებში ყოველთვიურად ვგზავნიდით თვის საშემოსავლო გადასახადისა და განაცემთა და დაკავებული გადასახადის შესახებ ინფორმაციის დეკლარაციებს. ხოლო სტატისტიკის ეროვნული სამსახურის ვებ გვერდზე ყოველთვიურად დადგენილ ვადებში ვახდენდით მუნიციპალიტეტის მერიასა და საკრებულოში დასაქმებულთა შრომის შესახებ სტატისტიკური ინფორმაციის შეტანასა და გაგზავნას.

ვახორციელებდით პირველადი დოკუმენტების საფუძველზე ბუღალტრული რეესტრების შევსებას, მემორიალებში ასახვას და ბალანსის შედგენას, ასევე ბუღალტრული დოკუმენტაციის აკინძვასა და დაარქივებას.

აქტივების აღრიცხვისა და სრული ანალიზისათვის დაწყებულია ინვენტარიზაციის პროცესი და ამ მიმართულებით საბუღალტრო-საბიუჯეტო სამსახური ახორციელებს სხვადასხვა სახის სამუშაოებს.

IPSAS სტანდარტების შესაბამისად მოვამზადეთ ხარაგაულის მუნიციპალიტეტის **2021** წლის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება თავისი განმარტებითი შენიშვნებით და წარვადგინეთ სახელმწიფო ხაზინაში.

საფინანსო - საბიუჯეტო სამსახური აქტიურად თანამშრომლობს საქართველოს ფინანსთა სამინისტროს, იმერეთის სამხარეო ადმინისტრაციის, საქართველოს სახელმწიფო აუდიტის და სხვადასხვა სახელმწიფო უწყებასთან, არასამთავრობო

სექტორის, ასევე მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან, მერიის სხვადასხვა სამსახურებთან, მუნიციპალიტეტის ა(ა)იპ-ებთან და ადგილობრივი პრესის წარმომადგენლებთან.

ვლადიმერ გელაშვილი

საფინანსო-საბიუჯეტო სამსახური-სამსახურის უფროსი